




ანიმაციის რეჟისურა

ფილმის მოსამზადებელი

ნათია ნიკოლაშვილი

კურსის ხანგრძლივობა: 12 კვირა

კურსის აღწერა:

ანიმაციური ფილმის წარმატება დიდწილად სრულყოფილ მოსამზადებელ პერიოდშია, სარეჟისორო გადაწყვეტილებების ძირითადი ნაწილიც სწორედ ამ ეტაპზე მოდის. კურსის ფარგლებში ერთად გავივლით ფილმის მოსამზადებელ ეტაპს, სადაც ვიფიქრებთ ფილმის შინაარსზე, მიზანზე, ვიმუშავებთ სცენარზე, ძირითად კადრებზე, პერსონაჟებსა და თხრობის სტილზე. დავგეგმავთ ფილმს ისე, რომ სრულად მზად იყოს საწარმოო პროცესისთვის.

კურსის ბოლოს სტუდენტს ექნება:

- ლოგოაინი და სინოფსისი;
- მოკლემეტრაჟიანი სცენარის პირველადი ვერსია;
- ვიზუალური Moodboard-ები (სტილი, პერსონაჟი, კადრები);
- პერსონაჟების განვითარების გზა და რეჟისორული ხედვა თითოეული ეპიზოდისთვის;
- მთავარი მომენტები სკადრირება;
- სრული პრეზენტაცია (ვერბალური და ვიზუალური).

კურსზე ჩარიცხვის ეტაპები:

გასაუბრება მენტორთან;

*სასურველია სტუდენტს ქონდეს საკუთარი (1-3 წუთიანი ანიმაციის) იდეა, რომელზეც იმუშავებს კურსის ფარგლებში

კურსის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდება ფიზიკურად, სტუდია ანიმატორში.



კვირა 1

თემა: შესავალი და ისტორიის არსის აღმოჩენა

- კურსის გაცნობა, სტუდენტების სამუშაო იდეების წარდგენა, შთაბეჭდილებები მოკლემეტრეაჟიანი ფილმების გახილვა;
- რა ხდის ისტორიას პირადულსა და უნივერსალურს? – ემოციური ღერძის პოვნა;

კვირა 2

თემა: იდეიდან ლოგლაინამდე

- ეფექტური ლოგლაინის შექმნა;
- სინოფსისის წერა;

კვირა 3

თემა: სცენარი და მისი სტრუქტურა

- მოკლემეტრეაჟიანი ფილმისთვის შესაფერისი თხრობის სტილი;
- სცენარის პირველადი მონახაზი - სცენები, გადასვლები, რიტმი;

კვირა 4

თემა: კვლევა და სარეჟისორო ხედვა

- კვლევის როლი - კულტურული, ვიზუალური, ტექნიკური;
- კვლევის პრაქტიკა - ფილმების მაგალითები, ჟანრის, ტონისა და ტექნიკის განსაზღვრა;



კვირა 5

თემა: Moodboard-ები და ვიზუალური ნიმუშები

- Moodboard-ების შექმნა პერსონაჟებისთვის, სტილისთვის, ატმოსფეროსთვის;
- Moodboard-ების განხილვა და უკუკავშირი;

კვირა 6

თემა: სტილი, მედიუმი, ტექნიკა

- ანიმაციის სტილისა და ტექნიკის შერჩევა (2D, 3D, შერეული);
- ვიზუალური ენა - ფერები, კადრების დიზაინი, კომპოზიცია, რიტმი;

კვირა 7

თემა: პერსონაჟები და ემოცია

- პერსონაჟების შექმნა და გამომხატველობა დიზაინში და ქცევაში;
- პერსონაჟების განვითარება მოკლემეტრაჟიან ფილმში - ცვლილება, აღმოჩენა, სიმბოლოების მნიშვნელობა;

კვირა 8

თემა: სიქვენსები და ემოციური დინამიკა

- სცენების დაგეგმვა - ბლოკინგი, კამერის პოზიცია, ინტენცია;
- ემოციის რეჟისურა - მონტაჟის რიტმი და შიდა ენერგია;

კვირა 9

თემა: კადრირების საფუძვლები

- კადრირების პრინციპები;
- საკვანძო მომენტების ვიზუალური მონახაზები;



კვირა 10

თემა: კადრიების პირველადი ვერსია

- საკვანძო სცენების წარდგენა და უკუკავშირი;
- ვიზუალური მონახაზების რედაქტირება და დახვეწა;

კვირა 11

თემა: პრეზენტაციისთვის მომზადება (Pitching)

- პროფესიონალური პიჩის სტრუქტურა - ისტორია, ვიზუალური მასალა, რეჟისორული ხედვა;
- პიჩების რეპეტიცია - დრო, სიზუსტე, თავდაჯერებულობა;

კვირა 12

თემა: შემაჯამებელი შეხვედრა - საბოლოო ინდივიდუალური პრეზენტაციები (Pitches)



